

კმაყოფილებას, არათერს არ უწევს ანგარიშს, უაჩიობს, ტირის. ეს პერიოდი ხანმოქლეა, გრძელდება 4 წლამდე. ფს-გიაში აღნიშნავენ აგრეთვე „მე-ზრე უინიანობის პერიოდს“, როცა მოზარდი თავის „მე“-ს, თავისი პიროვნების გამოკვეთის მისწარაფებას ამჟღავნებს, ავლენს უარყოფით დამრკიდებულებას სოც. გარემოსთან, ამხელრებულია თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ, უარყოფს ავტორიტეტს და თვითდამკვიდრებისთვის იბრძვის „მეორე უინიანობის პერიოდი“ თავს იჩენს სქესობრივი მომწიფების დაწ-ყებასთან ერთად /11–12 წწ./. განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებს წინაპუბერტატულ პერიოდში /12–14 წწ./, სწვდება აგრეთვე პუბერტატულ პერიოდსაც, ვიდრე სქესობრივი მომწიფების დამთავრებამდე. /14–17 წწ. ვაჟებისათვის, 13–16 წწ. ქალებისათვის/. აღნიშნული პერიოდის საზღვრები ტემპერამენტისა, კლიმატის, ინდივიდუალობისა და სოციალური პირობების მიხედვით შეიძლება შეიცვალოს, ქვევით დაიწიოს ან ზედა საზღვარს გადააცილოს.

მკვლევართა აზრით /შ. ბიულერი, ვ. შტერნი, დ. უზნაძე/, უინიანობის ორივე პერიოდი /პირველი უ. ხ. და მეორე უ. ხ./ დაკავშირებულია საკუთარი პიროვნების ფორმირებასთან, „მე“-ს ცნობიერების გაძლიერებულ აქტიურობასთან. სამი წლის ასაკში, ახლად ფეხადგმულ და თავისუფალ მოძრაობას დაუფლებულ ბუებში პირველად იღვიძებს „მე“-ს ცნობიერება და მასთან ერთად თავს იჩენს საკუთარი მოთხოვნილებები და მოთხოვნები, ხოლო მომწიფების ხანა ხასიათდება – „მე“-ს, საკუთარი პიროვნების, საკუთარი სახის ძიებით და დადგენით, გარემოსგან „მე“-ს გამოყოფით, ღირებულებათა ახლად შეფასებით და მათში საკუთარი აღგილის გამონახვით, „მე“-ს ცნობიერების ეს გაძლიერებული აქტიურობა უდევს საფუძვლად „მე“-ს წინააღმდეგობას იმასთან, ვინც ან რაც უპირა და ზღუდვას მას /იხ. ნებულობა/.

რ

რანშბურგის აპარატი-მეხსიერების კვლევის აპარატი, შეიმუშავა ფსიქოლოგმა პ. რანშბურგმა. აპარატი წარმოადგენს ეკრანს პატარა ფაჯრით, რ-შიც რიგრიგობით ჩნდება სიტყვები, მარცვლები, ციფრები, რ-იც კომა უნდა წაიკითხოს, დაიმახსოვროს და მერე აღადგინოს. აპარატი მასალის რეგულირების საშუალებას იძლევა.

რანშბურგის ფენომენი – მეხსიერების მოვლენა, აღმოჩინა პ. რანშბურგმა. მდგომარეობს შემდეგში: სუბიექტი უკვთ იმახსოვრებს ისეთ ჰეტეროგენურ რიგს, რ-იც მხოლოდ განსხვავებულ ელემენტებს შეიცვას /ასოებს, ციფრებს, სიტყვებს, ფერებს და სხვა/, ვიდრე ისეთს, რ-შიც ერთი და იგივე ელემენტი სხვადასხვა აღგილას მეორდება /ჰომოგენური 250

რიგის. როგორც წესი, უკანასკნელ შემთხვევაში სუბს ამახსოვრდება განსხვავებული ელემენტები, ხოლო გამეორებული ელემენტებიდან ერთ - ერთს ტოვებს. მაგან, ასოთა ჰომოგენურ რიგში: ყ, წ, მ, ჩ, წ, ბ, მეორდე - ბა ასო წ; ამ რიგის აღდგენისას ცპ. ასო წ-ს ასახელებს მხოლოდ ერთ ქ ხელ, ე. ა. ნაცვლად 6 ელემენტისა აღადგენს მხოლოდ ხუთს, ამ მოვლენას რანშბურგმა „იდენტურ გამლიზიანებელთა შეფერხება“ უწოდა.

რაპორტი /ფრანგ. rapport - პატარი/ - ფს-გიაში ჰიპნოტიზიორის კავშირი ჰიპნოტიზებულთან. ჰიპნოზის მდგომარეობაში მყოფს გარესამყაროსთან ყოველგვარი კავშირი აქვს გაწყვეტილი. ესმის მხოლოდ ჰიპნოტიზიორის ნათქვამი და მის ბრძანებებს ასრულებს. ამ კავშირს კრაპორტი ეწოდება /იხ. ჰიპნოზი/.

რაპტუსი /ლათ. raptus - მოტაცება, ძარცვა/ - ფსიქიატრი. უცხად, შეტევის სახით დაწყებული მოქმედება, აფექტური დაძაბულობის მწვავე მიმღინარეობა. ამ დაძაბულობისგან ერთბაშადი განტვირთვა.

რაციონალიზაცია /ლათ. ratio - გონება/ - 1. მოქმედების, განსაკუთრებით შრომითი ქცევის, /მეურნეობის, მრეწველობის/ მოწესრიგება გონების, მეცნის მონაცემების საფუძველზე. შრომის რაციონალურ პრინციპების გერება შრომის მეცნიული ორგანიზაციის ამოცანას წარმოადგენს, რომ შრომის მიზანია ენერგიის მინიმალური ხარჯვით შრომის მაქსიმალური ნაკონფიგურების მიღწევა.

დღევანდველი ტექნიკური მეცნის განვითარების დონეზე ტექნიკა. არსებითადაა ჩართული ადანის ცხოვრებაში, მის შრომით პროცესებში. ტექნიკური მეცნის ძირითადი ამოცანა: იმ მიზნის კუნაა. შიშართული, რომ შრომის პროცესის რაც შეიძლება მეტი ფუნქცია გადაეცეს მანქანას; ადანის მონაცილეობა შრომის პროცესში | მანქანის მართვით | განისაზღვროს და მანქანისა და ადანის მუშაობა ერთმანეთს შეუფარდეს. ამ ამოცანის გადაწყვეტაში უშუალო და წამყვანი როლი რას ეკისრება. ცხოვრებისა და მეცნის აღნიშნული მიზანი და ამოცანა რაის ძირითადი პრინციპის - მინიმალური ენერგიის ხარჯვით მაქსიმალური პრიდუქტის მიღების საფუძველზეა აღმოცენებული და მის რეალიზაციას ემსახურება. ტექნიკის მთელი დღევანდველი პროგრესი შრომის რას გულისხმობს და ახორციელებს. 2. ფრონტის ფსიქოანალიზის თეორიით რა სუბს ის „დაცვით“ ტენდენციას შეაღენს ის /სუბ/. ისწრაფევის არაცნობიერი ფენომენების საფუძვლად ცნობიერი მოტივები ჩათვალოს, არაცნობიერი მოტივი ცნობის ერ მოტივად იგულისმოს, არაცნობიერი მოქმედება ცნობიერ მოქმედებად აღიაროს და ცნობიერება და გონება /რაზი/ დაინახოს იქ, საღაც მხოლოდ არაცნობიერი სტიქია მეფობსა თვით ამ თეორიის აზრით, ეს, რა საკვირველია, სუბის შეცდოშაა. არსებითად არაცნობიერის მოქმედება

არ არის რაცონალური მომენტების საფუძველზე აღმოცენებული, 3აგ - რომ სუბის „ზე-მე“-სა მის კოგნიციურ პრინციპს სურს, რომ ყოველი მოქმედება ცნობიერების შონაწილეობით ხორციელდებოდეს და ამიტომ რაცონალურ მომენტს იქაც გულისხმობს, სადაც მას აღვილი არა აქვს, ე. ი. არაცნობიერ მოქმედებაში. უროიდი ამას „დაცვითი მექანიზმის“ მოქმედების ერთ-ერთ სახედ თვლის.

რაციონალიზმი /ლათ. / იდეალისტური-ფილოს მიმართულება, რ-ის თანახმად სინამდვილის შემეცნების ერთადერთ წყაროს გონება წარმოადგენს და მისი ჟეშმარიტების კრიტერიუმი გონებაშივეა მოცემული; საწინებირიზმი.

რეაქტოლოგია – „ობიექტური ფსიქოლოგიის“ ერთ-ერთი მიმდინარეობა რუსეთში. წარმომადგენელია კ. ნ. კორნილოვი /1879–1957/.

რეაქცია /ლათ. re-უკუ და reagio- მოქმედება/-ფიზიოლ-ასა და ფს-გიაში → ცოცხალი ორგანიზმის საპასუხო მოქმედება გარეგან ან შინაგან გაღიზიანებაზე. ყოველი რ. სამი მომენტისაგან შედგება: 1. გარეგამლიზიანებლის მოქმედება რეცეპტორზე; 2. ამ გაღიზიანების გატარება, გადამუშავება ტვინის სათანადო ცენტრებში; 3. ორგანიზმის საპასუხო მოქმედება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველი რ. შეიცავს სენ-სორულ, ცენტრალურ პროცესებს და მოტორულ აქტებს /მოქმედებებს/. უფრო ვიწრო მნიშვნელოვანი ფს-გიაში რ. ეწოდება გარეგამლიზიანებლის მიერ გამოწვეულ ყოველ მოქმედებას. განასხვავებენ მარტივ და რთულ რ-ს. მარტივია რ. როდესაც საპასუხო მოქმედება უშუალოდ თან სდევს გამლიზიანებლის აღქმას, ე. ი. როცა ცენტრალური პროცესი წარმოადგენს აგზნების მხოლოდ გატარებას ცენტრიდან ეფექტორისაკენ. რთულია რ. როცა გაღიზიანების აღქმასა და საპასუხო მოქმედებას შორის აღვილი აქვს აღქმული გალიზიანების გადამუშავებას კ. ნ. ს-ში.

მარტივ რ-ს განეკუთვნება მოქმედება, რ-იც ყოველთვის ერთი და იმავე სახით სრულდება /მაგ., საორიენტაციო რეაქცია/, რთულს-ქრონდესაც გამლიზიანებელზე საპასუხო მოქმედება მოითხოვს მრავალ გამლიზიანებელთა შორის ერთ-ერთის არჩევას. იმის მიხედვით, თუ რაზედ სუბის ყურადღება მიმართული, რ-ის სენსორულ ნაწილზე თუ მის მოტორულ აქტებზე, განასხვავებენ ს ენ ს ო რ უ ლ და მ თ ტ ი რ უ ლ რ-ს სენ-სორული რის დრო ვა ვუნდტის გამოგვლევით, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მოტორულისა, რაღვან სენსორული რ-ციის შემთხვევაში საჭირო ხდება გამლიზიანებლის გაცნობიერება /მოტანილი ინფორმაციის გადამუშავება/.

ფს-გიური რ-ის ერთ-ერთ სახელს წარმოადგენს ე. წ. ასოციაციური

რა ცის ეძღვა სიტყვა-გამლიზიანებელი და ევალება მოსმენისთანავე უპასუხოს თავში მოსული პირველი სიტყვით, ან ისეთი სიტყვით, რ-იც გამლიზიანებელ სიტყვასთან გარკვეულ ლოგიკურ კავშირშია /იხ. ასო - ციაციური ექსპერიმენტი/.

ჩრის დრო ანუ სისწრაფე ტიპოლოგიურად განსხვავებულია. ზოგი აღ-ნი გამლიზიანებელზე სწრაფად იძლევა რ-ს, ზოგი კიდევ-დაგვიანება ით. ამაზეა დამოკიდებული ე.წ. „პიროვნული განტოლება“ /იხ./.

რეაქციის დრო - დრო, როც გადის გალიზიანების მიუმის მომენტ-სა და შასზე საპასუხო რეაქციის დაწყებას შორის.

რეაქციის შეთოდი - ფს-გიაში ექსპ-ის ერთ-ერთი სახე; შემოტანილია ფს-გიაში ფიზიოლ-დან. გა ვუნდტის მიერ; გამოიყენება მარტივი აქტების შესასწავლად, ან საერთოდ, ყველა გარეგანი გალიზიანების საპასუხო ფს-კური თუ მოტორული რეაქციების საკვლევად. რ. მ. შემდეგში მდგომარეობს: მაწოდებულ გალიზიანებას ცპ-მა გარჩვეული რეაქცით უნდა უპასუხოს, მაგ., მოსმენილ სიტყვას-თავში მოსული პირველი სიტყვით /ასოციაციური ექსპერიმენტი/, ან გალიზიანებას, მაგ., ფერთ, უპასუხოს მოძრაობით-ხელის აწევით იზომება დრო, რ-იც გადის გალიზიანების მიღებიდან პასუხის გაცემამდე /იხ. რეაქციის დრო/.

რეგრესია /ლათ. regressus უკუსკლა, დაბრუნება/ - 1. ფსიქოანალიზში: „მე“-ს დაცვითი მექანიზმის ერთ-ერთი სახე. ნიშნავს ლიბი-ჭოს განვითარებაში მიბრუნებას უკან, განვითარების აღრეულ პერიოდში ფიქსირებული გრძნობისაკენ, ობიექტისაკენ და მოქმედებისკენ. ჩ-ის გამომწვევები მიზეზია სიყვარულში სრული იმედგაცრუება, დამარცება საქმეში, რამე დანაკლისის გადატანა 2. ჩვეულებრივი გაგებით, რ. ნიშნავს დეგრადაციას, განვითარებაში უკანდახევას, ატავიზმს.

რეზიდენტი /ლათ. residens - დარჩენილი/ - იგივეა, როც მეხსიერების კვალი ანუ ენგრამი.

რეკაპიტულაციის თეორია /ლათ. recapitulatio - შემოკლებითი გა-მეორება/- განვითარების პროცესში წინაპართა ნიშნების მოკლე გამეორება. /იხ. ბიოგენეზური კანონი, ატავიზმი/.

რეკლამა /ლათ. reclamatio - ვყვირი, გავიძახი/-აღ-ზე ზემოქმედების საშუალება, რ-ის მიზანია სხვადასხვა ფს-გიური ხერჩებით შთააგონოს, განაწყოს სუბ. გარკვეული მოქმედების შესრულებისადმი, მაგ., გარკვეულ პიროვნების გაუკეთოს პოპულარიზაცია; გააღვიძოს საზოგადოებაში მოტივები და ინტერესები აღ-ნის შემოქმედების ნიმუშისადმი: თეატრი, მხა-ტერობა, პოეზია, მუსიკა და სხვა განსაკუთრებით დიდი მნიშვ. აქვს აღ-ზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით წარმოება-მრეწველობაში, რათა მომ-ხმარებელმა გარკვეული საგანი შეიძინოს. რ. ცდილობს საუკეთესოდ წა-

რმოულგინოს მომხმარებელს ეს საგანი, მიაწოდოს მისი თვისებების შე-
სახებ სრული ინფორმაციი, მოაწონოს ის და აღუძრას მისი შეძენის სუ-
რვილი. ამისათვის ჩ. მიმართავს საგნის სიტყვიერ დახასულასურათებას,
გაფორმებას გარევეული განათების და ფერების საშუალებით, რაც უნებ-
ლიერ იპყრობს ად-ნის ყურადღებას და აღუძრავს მისი შეძენის სურვილს.

ჩ. გამოყენებითი /პრაქტიკული/ ფს-გოს ნაწილია ფართოდაა გამო-
ყენებულიკაზრულისტურ ქვეყნებში, საღაც კერძო მწარმოებელთა შორის
კონკურენციაა გამეფებული, რაც იძულებულს ხდის თითოეულ მწარმოებ-
ელს ფართოდ მიმართოს ჩის ხერხს, რომ მიიზიდოს მყიდველი და ამით
თავისი წარმოება უზრუნველყოს.

რელაცია /ლათ. relatio – მიმართება/ – ზოგ. მნიშვ. – მიმართე-
ბა მოვლენათა შორის ფს-გაში ვა ვუნდტის შეხედულებით, ყოველი რთუ-
ლი ფს-კური წარმონაქმნი წარმოადგენს მის ელემენტებს შორის ორსე-
ბული, მიმართებების, დამოკიდებულების ანუ რელაციის პროცესებს.
ამის მიხედვით ელემენტები გარევეულ მიმართებაში იმყოფება ურთი -
ერთოთან და ყოველი შემოქმედება ამ მიმართებებითაა მოტივირებული.

რელაციის პერიოდი – იხ. ბავშვის! გონებრივი განვითარების პერ-
იოდები.

რემინისცენცია /ლათ. reminiscē – მოგონება, განსენება/ – ფს-გია-
ში: მექსიერების ფაქტი /პირველად ბალარდის მიერ აღნიშნული/, ექება
დავიწყების და განსენების ერთეულთ სპეციალურ მოვლენას. იგი |შემდეგ -
ში, მდგრმარეობს: ერთხელ აღქმული რამე აზრიანი მასალის დამახსოვ-
რება და მისი აღდგენა 1 – 2 დღის გასვლის შემდეგ უფრო გაუმჯობესე -
ბულია, შინაარსეულად უფრო სრული, ნათელი და პლასტიკური, ვიდრე მი-
სი დამახსოვრება და აღდგენა უშუალოდ აღქმის შემდეგ, მაშინვე. ცნო-
ბილია, რომ დავიწყება დროის ფუნქციაა და დადგენილია კიდეც მისი კა-
ნონი, რომლის თანახმად დასწავლილი მასალის დავიწყება ყველაზე ინ-
ტენსიურია სწორედ პირველი ორი დღის განმავლობაში დასწავლის შემ-
დეგ. ამ პერიოდში ჰ. ებინგჰჰაუსის დავიწყების კანონის მიხედვით
მისი მრუდი ეცემა დაახლოებით ვერტიკალურად ძირს. ჩის შემთხვევა-
ში, პირიქით, მასალის აღდგენა სწორედ ამ აღნიშნულ დროში ადის ზე-
გით. გამოდის, რომ ჩის ფაქტი და ებინგჰჰაუსის „დავიწყების კანონი“
საპირო მოვლენებია შემდეგი გამოკვლევით /ს. რუბინშტეინი/ დადას-
ტურდა, რომ ებინგჰჰაუსის აღნიშნული კანონი და ჩ. ორი სხვადასხვა
ფაქტია და მათი დაპირისპირება უკანონოს.

რუსი ფს-ლოგის ს. რუბინშტეინის სპეციალური გამოკვლევებით
დადასტურებულია, რომ ჩ. დასამახსოვრებელი მასალის ხასიათით და მი-
საღმი სუბის დამოკიდებულებითაა განსაზღვრული სახელდობრ, როს

ადგილი ექვს აზრიანი მასალის დამახსოვრების შემთხვევაში, უაზრო მა-
სტლიზე იფი არ შეიმჩნევა. აგრეთვე, ემოციურადფექტური შინაარსი უფრო... .
რო შთაბეჭდისა, მისი დამახსოვრება უფრო სრულია, აღდგენა კი უფრო.
რო ადგილი და ზუსტი. ს. რუბინშტეინის აზრით, რ-ის შემთხვევაში, მა-
სალის აღქმის შემდეგ, პირველი ორი დღის განმავლობაში, მიმდინარეობს
ალტიულის გონიერივი გადამუშავება, მისი სისტემატიზება, რაც, მისი ვა-
რიულით, განაპირობებს მასალის დამახსოვრების და აღდგენის დიდ ეფ-
ექტს. ჰ. ებინგჰაუსის კანონი კი გამოხატავს ზეპირად დასწავლილი უაზ-
რო მასალის დავიწყებას და გულისხმობს საკუთრივ მექსიერების მუშაო-
ბის სხვა პიროვნული ფაქტორებისაგან იზოლირებულად, რ-ის შემთხვევა-
ში კი მექსიერების მუშაობაში. ჩართულია სუბ-ის გონიერივი და ემოცი-
ური ფაქტორები. ამიტომ რ-ისა და ებინგჰაუსის „დავიწყების კანონის“
სრულიერთდაპირისპირება უმართებულობა. ჩვეულებრივ მეტყველებაში რ-
ის გულისხმობს რამე დავიწყებული შთაბეჭდილების შემონახვას და მერე
მის გახსენებას.

რეპროდუქცია /ლათ. reproductio, ხელახლა, produco – ვაწარმოებ,
**გენი/ – ფსევდოში მექსიერების მოქმედების ერთ-ერთი მომენტი, გულის-
ხმობს წარსულში მიღებული შთაბეჭდილების აწმყოში აღდგენას, განა-
ხლებას.**

რეპროდუქციული ფანტაზია – იხ. ფანტაზია.

რეპროდუქციული შეკავება /ებინგჰაუსი/ ანუ ეფუძნულური შეკაფე-
ბა /გ. ე. მიულერი/ – ასოციაციური შეკავების ერთ-ერთი სახე, მდგომა-
რეობს შემდეგში: როცა ერთ ელემენტს, A-ს /დასწავლის გზით/ ასოცი-
აციურად | ვუკავშირებთ ორ ელემენტს: | B-ს და | C-ს ცალ-ცალკე, ასოციაცი-
ის განმტკიცების შემდეგ რ-იმე ამ კავშირთაგანის აღდგენას ვახერხებთ,
მაგრამ უფრო დაგვიანებით, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ორის ნაცვ-
ლად ერთ კავშირს ვამუშავებთ: ან! A—B—ს. ან A—C—ს.

**რეტარდაცია /ლათ. retardare – შენელება, შეკავება/ – ორგანიზმის
ფსიქო-ფიზ. განვითარების შეფერხება, შენელება, გახანგრძლივება. გა-
მოწვეულია ან გარკვეული ფიზიოლ. | მიზეზებით, /ტენის დაზიანება, ჯირ-
დვლების ფუნქციის მოშლა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა/ ან არადა-
მაქმაყოფილებელი სოც. პირობებით/საწინ. აქსელერაცია, /იხ. /.**

**რეტენცია /ლათ. retentio – შეკავება, შემონახვა/ – მექსიერების
შინაარსის შემონახვა, რ-იც უზრუნველყოფს ამ შინაარსების კვლავ აღ-
დგენას ტერ. შემოტანილია რ. ზემონის მიერ.**

**რეტრაქტაცია შეკავება / ლათ. retro – უკან, !actinus – მოქმე-
დი/ – უგუმოქმედება მექსიერებაში გ. ე. მიულერის მიერ დადგენილი კა-
ნონის მიხედვით, მექსიერების მოქმედებაში აღინიშნება შემდეგი მოვლე-**

ნა: ორ შინაარსს შორის დამყარებული ასოციაციური კავშირი უარყოფით გავლენას ახდენს წინათ შემუშავებული კავშირის მოქმედებაზე, თუ ბმ შინაარსებს შორის ადგილი აქვს გარკვეულ მსგავსებას. მაგ., თუ დასწავლის |შედეგად დამყარდა კავშირი ა და ხ შინაარსს შორის, ხოლო მანამდე ა ასოციაციურად დაკავშირებული იყო ა - ხთან, მაშინ ამ უკანასკნელი კავშირის /ა - ა/ გახსენება იმის შემდეგ, რაც ახალი კავშირი /ა - ხ/ დამყარდა, ძნელდება ამრიგად, ახალი ასოციაციური კავშირების დადგენა უარყოფითად, შემაკავებლად, მოქმედებს ძველ ასოციაციურ კავშირებზე.

| რეტროგრადული ამნეზია - იხ. ამნეზია.

რეტროგნიცია /ლათ. retro- უკან, ცნցისი - შემეცნება, ცნობა/ - ნათელზედვის ერთ-ერთი სახე: წარსულის პარანორმალური შემეცნება /იხ. ნათელზედვა/.

რეტროსპექციული /ლათ. retiro- უკან და | specio. -ხედვა/ - ზოგ. მნიშვა. იმ საგნის ან მოვლენის კვლავ განცდა, რ-იც | წარსულში გვქონდა მოცემული; წარსულის ხელახლა განხილვა.

რეტროსპექციული თვითდაკვირვება - უკუხედვითი დაკვირვება, იხ. თვითდაკვირვება.

რეფლექსი /ლათ. reflexus - ასახვა-არეგვლა/ ~ორგანიზმის კანონზომიერი, მიზანშეწონილი საპასუხო რეაქცია /მოქმედება/ გარეგან ან შინაგან გალიზიანებაზე. რა ხორციელდება რეცეპტორების (შეგრძნების ორგანოების) გალიზიანების შედეგად ც. ნ. სის საშუალებით. რ. მიზან-შეწონილია იმიტომ, რომ ამ მოქმედებით ორგანიზმი ეგუება იმ ცვლილებებს, რ-ებიც ან მასში, ან გარემოში ხდება. მაგ., გალიზიანების ხასიათის მიხედვით კუნთი ან იკუმშება ან დუნდება, ჯირკვალი ან გამოყოფს სეკრეტს, ან წყვეტს სექრეციას, სისხლ-ძარღვები ან ვიწროვდება, ან ფართოვდება და ა. შ. ბიოლოგური გნიშვნელობის მიხედვით განასხვავებენ კვების, თავდაცვის, სასქესო, ლოკომოციის რ-სა იმის მიხედვით, თუ საიდან მოდის გალიზიანება, განასხვავებენ, ექსტერიულებულ, ინტერიულებულ, პროპრიოცეპტორების რეფლექსს /იხ. რეცეპტორი/. იმის მიხედვით, თუ ც. ნ. სის რა ნაწილთან არის დაკავშირებული რეფლექსი, გამოყოფენ სპინალურს /ზურგისტონის, ბულბურს /მოგრძო ტვინის/, მეზენცეფალურს /შუალენის/, დიენცეფალურს /შუამდებარე ტონის/, კორტიკალურს /დიდი ტვინის ქერქის/ რებს უველა რ-ს ყოფენ ორ მთავარ ჯგუფად: უპრობო, თანდაყოლილ რებად და პირობით ანუ შეძენილ რ-ებაზ.

| რეფლექსი /ლათ. reflexus - ასახვა/ -ფს-გიაში: ამჟამად მოცემული საკუთარი განცდისაკენ მიზრუნება, მისი გააზრების მიზნით, ცნობიერების მიმართვა თავისი თავისკენ საკუთარი ქცევისაზრის ტაღყოფის და შეფასების მიზნით.

რეფლექსოლოგია – იხ. ობიექტური ფსიქოლოგია

რეფლექსური ჯაჭვის თეორია – იხ. | ინსტინქტი.

რეცეპტორი /ლათ. receptor/ – მიმღები/ – სპეციალიზებული წარმონაქმნები /მკრძნობიარე ნერვული ბოჭქოს დაბოლოება/, რებიც იღებენ გალიზიანებას და მის ენერგიას ნერვულ პროცესად გარდაქმნიან. იმისდა მიხედვით, თუ საიდან იღებენ რები გალიზიანებას, გამოიყოფა |ექსტრონული ცოტები და ინტენსიური ცოტები| და ინტენსიური ცოტები და ექსტრონული ცოტები. მოთავსებულია კანის ზედაპირზე და იღუბს გალიზიანებას გარემოდან, ინტერირულებულობის იყოფა ვისცერორეცტორებად, ვესტრობულურ და პროპრიორეცტორებად, ვისცერორეცტორი იძლევა სიგნალს „შინაგანი ორგანოების მდგომარეობის შესახებ“, ვესტიმულური და პროპრიორეცტორები იძლევიან ინფორმაციას სხეულისა და მისი ცალკე ნაწილების მოძრაობისა და სივრცითი ადგილდებარეობის შესახებ. „აღეკვატური გამღიზიანებლის“ ფიზ. ან ქიმიური თავისებურება განსაზღვრავს რეცეპტორული მოქმედების სპეციფიკას ამ პრინციპის მიხედვით გამოიყოფა: ფოტორეცტორები, ფონორეცტორები, მექანორეცტორები, ჰემორეცტორები, თერმორეცტორები, ბარორეცტორები და ტემპილის რეცეპტორები.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხდება გამღიზიანებლის აღქმა – უშუალო შეხებით თუ მანძილის დაშორებით – რები იყოფა კონტაქტურ და დისტანციურ რ-ბადა კონტაქტური რებია: შეხების, ტემპერატურისა და გემოსი; დასტანციური – მხედველობისა და სმენისა. რ. არის ანალიზატორის პერიფერიული ნაწილი /იხ. „ანალიზატორი/.

რეცესიული. ნიშანი /ლათ. recedo – უკან ვიხევ/ – გ. მენდელის მეორე კანონის მიხედვით მემკვიდრეობითი ნიშანი, რიც მხოლოდ მეორეთაობაში, გათიშვის შედეგად იჩენს თავს. პირველ თაობაში რეცესიულ ნიშანს ფარავს დომინანციური ნიშანი და გამოვლენის საშუალებას არ აძლევს /იხ. გ. მენდელის კანონები/.

რეცეფცია /ლათ. recipio – უკან მიღება/ – ზოგ. მნიშვა მიღება, გადმოტანა ვიწრო მნიშვა გაღიზიანების მიღება შეგრძნების ორგანოს მიერ. ფს-გიაში გამღიზიანებლის აღქმა.

რთული ფერი – ფერთა შერევის შეღეგად მიღებული ნარევი ფერი /იხ. ფერთა შერევის კანონები/.

რიგიდობა /ლათ. rigor/ – უძრაობა, გაშეშება, მოუქნელობა/ – პიროვნების ტიპოლოგიურ-ფს-გიური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სუბ. თავის ქსელებში იჩენს ინერტულობას, ვერ ეგუება შეცვლილ სიტუაციას, ახალ სიტუაციაში ისე მოქმედებს რ-რც ძველ სიტუაციაში მო-

ქმედებდა. ვერ იჩენს პლასტიკურობას, გადანაცვლების უნარს.

რა, რ-რც აღ-ნის მოქმედების მოუქნელობა და განმტკიცებული ქცევ-ის აკვიატებულობა, ენათესავება შეხსიერების ფს-გიაში შემჩნეულ პერ-სევერაციას /იხ. პერსევერაცია/.

და უზრუნადის „განწყობის ფს-გიის“ კონცეფციით, რა შეიძლება გავი-გოთ, რ-რც ფიქსირებული განწყობის თვისება. მაგა, ერთ გარკვეულ სი-ტუაციაში ფიქსირებული განწყობა ახალ სიტუაციაშიც ისე მოქმედებს, რ-რც იმ პირველ სიტუაციაში.

რისხეა-სტენიური აფექტი, უსიამოენო განცდებით | გამოწვეული რეაქ-ქცია რაიმე უსამართლობით უგიდურესად აღშფოთებულ აღ-ნს რა ეუფ-ლება, ე. ი. იგი აგრესიული ხდება, თავს ესხმის მოწინააღმდეგეს და ის - წრაფვის მას ზიანი მიაყენოს. ვ. ! მაკ-ლოუაგლის აზრით, რა ბრძოლის ინ-სტინქტით გამოწვეული აფექტია. რა შეიძლება სიძლიერისა იყ-ოს. პაროქსიზმის ხარისხს მიღწეულ რა-ს თან სდევს მკვეთრი სხეულებრი-ვი გამოვლინებები: ძლიერდება მოტორული მოძრაობები, იცვლება ორგა-ნიზმის ვეგეტატური სისტემის მუშაობა, აგრეთვე სისხლის შედგენილობა და შიმოქცევა, იცვლება ჰორმონალურ - სეკრეტორული სისტემის ფუნ-ქციობა; ძლიერდება გულის ცემა, მაჯისცემაც, სუნთქვა, სახე შეშლილად და დაღრეჯილად გამოიყურება, აზრები ანგარიშმიუცემლად ჩბიან, მსჯე-ლობის უნარი დაჭვეითებულია. აღვილად ავზნებადი აღ-ნი პატარა მიზე-ზითაც განრისხდება, ასეთ კაცს ფიცხს უწოდებენ.

რა ბ-ვებ-შიც შეიმჩნევა, თვით „ძუძუს ბ-ვობის“ ხანაშიც კი /დაუწ-ყნარებელი ტირილი, ყვირილი, მოძრაობათა სიმრავლე, გაწითლება/. აღ-ზრდის მიზანია თავშეკავების უნარის განვითარება რ-ისაგან თავდაცვის მიზნით. რა არ არის უცხო ცხოველისათვისაც. განრისხებული ცხოველი მიიწევს მოწინააღმდეგის სრული განადგურებისაკენ. მაგა, ძალლისათვის |ძვლის წარმევას. რომ შეეცადოთ, ის ძლიერ | „განრისხდება“ და არ და-გინდობოთ.

რორშახის ტესტი – შვეიცარიელი ფსიქიატრის პ. რორშახის /1884-1922/ მიერ შემუშავებული ტესტი /1920/ შედგება 10 სურათისაგან. თი-თოეული სურათი წარმოადგენს ნებისმიერი ფორმის მელნის ლაქას. მათ - გან ჩუთი ერთი ფერისაა, მაგა, რუხისა, ხუთი დანარჩენი - სხვადასხვა ფერისა, მაგა, წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, იისფერი, ცა-ს ეძლევა დავალება დაზედოს მიწოდებულ სურათს და უამბოს ექსპ-ტატორს, თუ რას ხედავს იგი ამ ლაქაში, რას აგონებს, რას შეუძლია მიამსგავსოს. იგია რა ტ. წარმოადგენს პიროვნების კვლევის ე. წ. „პაროექციული მეთ-ოდის“ ერთ-ერთ სახეს იგულისხმება, რომ რა აღძრავს სუბ-ში ფან-ტაზიას, |განწყობას, აფექტებს, დაფარულ განცდას. თავის ჩვენებებში

კა. ახდენს თავის პიროვნულ თავისებურებათა პროექტიას მიღებული მა-
სალის ანალიზის საშუალებით ექსპ-ტატორი აგნებს კანის დაფარულ პი-
როვნულ თვისებებს. ამ მხრივ, რა ტიტიაგნოსტიკური მნიშვნელობისაა
/იხ. თემატიკური აპერაციულის ტესტი/.

რა ტიტის ანალოგიურ სურათებს, ეს ის უფორმო ლაქებს, |იყენებდნენ წა-
ვის შემოქმედებაში, რ-რც ფანტაზიის აღმძვრელ საშუალებას, ჯერ კიდევ
ლეონარდო და ვინჩი, პოტიჩელი, იუსტინიუს კერნერი /1857/; რ-რც პი-
როვნების კვლევის ტესტი, პირველად გამოიყენეს ა. ბინემ და ჰენრიმ,
შემდეგ ამერიკელმა მკვლევარებმა ე. კირპარტიკებმა, გ. უიპლიმ, ფ. ბარ-
ტლეტმა, ინგლისელმა ფს-გმა კ. პარსონმა /Parson/. პ. როჩშახის წინა-
მორბედად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე რუსი ფს-გი თ. რიბაკოვი,
რ-აც თავის შრომაში – „პიროვნების ექსპერიმენტულ-ფიქოლოგიური
კვლევის ატლასი“ შეიტანა ლაქა, რ-რც პიროვნების შესწავლის ტესტი.

როჩშახის დამსახურება ისაა, რომ მან ლაქის ტესტი, რ-რც პი-
როვნების კვლევის მეთოდი, შეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა, კლასი -
კური სახე მისცა და მეცნიერებაში საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

როტაციის აძარატი – ხელსაწყო /კ. მარბე/, რ-ის საშუალებით-
აც შეისწავლიან ფერთა შერევის მოვლენებს. წარმოადგენს სწრაფად
მოძრავ დისკოს, რომელზეც ფერები დაკრულია სექტორების სახით. დი-
სკოს სწრაფი ბრუნვა იძლევა ფერთა შერევის მოვლენებს.

ს

საგანწყობო ცდა – |იხ. განწყობის კვლევის მეთოდი

სადიზმი – ფრანგი მწერლის მარკიზ დე სადის გვარის მიხედვით.
ტერ. შემოღებულია რ. კრაფტ-ებინგის მიერ. წარმოადგენს პერვერსი-
ის ერთ-ერთ სახეს: სექსუალური გრძნობების დაკმაყოფილება მიიღწევა
მხოლოდ მეორე მხარისათვის /პარტნიორისთვის/ ფიზიკური ტკივილის,
ტანჯვის მიუენების პირობებში. ამიტომ სადისტური ანომალიით შეკ-
ყრობილი სუბა. | სადისტი/ თავის პარტნიორს ფიზ. ტკივილს აყენებს.
ენათესავება მაზოხიზმი. ორივე შემთხვევაში ავხორციელის დაკმაყოფი-
ლების აუცილებელ პირობად ფიზ. წამება წარმოადგენს. მაგრამ მათ
შორის არსებითი განსხვავებაც არსებობს: სადისტი სხვას აყენებს ტან-
ჯვას, მაზოხისტი ფიზ-რად თვითონ უნდა იტანჯებოდეს. პირველი ანო-
მალია აქტიურ ფორმად ითვლება, : ! მეორე-მაზოხიზმი-პასურ ფორმად
| ამიტომ ამ ორი ანომალიის იდენტურ მოვლენად მიჩნევა და ამ ცნებებს
ურთიერთის სინონიმად აღიარება, ფსიქიატრ კურტ სურის აზრით, არ-
არის მორთებული.

|გადატანით მნ-ით |სტუდიოდებენ მოძალადეს, ეინც თავისი მო-